მოწვევა წინასწარ კვალიფიკაციაზე/ინტერესის გამოხატვა

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების მიზნით – იმერეთის რეგიონი: კონტრაქტი IM-1/P1: ვანი (WAT, SAN, WAT)	**წარდგენის ბოლო ვადა 03.05.2023 13:00 საქართველოს დროით**

ქვეყანა: **საქართველო**

Ref-Nr: **IM-1/P1**

KfW შესყიდვის ნომერი: **509597**

პროექტის განმახორციელებელი სააგენტო (PEA): საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG)

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, საქართველოს მთავრობის მეშვეობით, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს (ფინანსთა სამინისტროს) სახით, მოიპოვა დაფინანსება KfW-გან სესხის სახითა და ადგილობრივი თანხებით. თანხის ნაწილი განკუთვნილია ვანში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელის, ასევე სანიაღვრე წყლის ქსელის მშენებლობის ხელშეკრულებისათვის.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მიზნად ისახავს კონტრაქტორების წინასწარ კვალიფიკაციას კონტრაქტისთვის No. IM-2/Y1, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს (შენიშვნა: ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის საბოლოო):

სათავის რეაბილიტაცია

- ზომების მიღება წყაროს დაცვისათვის
- შახტური ჭების რეაბილიტაცია
- წყალმიმღები სატუმბი სადგურის სრული რეკონსტრუქცია, ქლორირების განყოფილების, საოპერატოროს/დაცვის ოთახის, SCADA/ელექტრო ოთახისა და ყველა საჭირო აღჭურვილობის ჩათვლით
- ტუმბოების, დაკავშირებული მილებისა და მექანიკური აღჭურვილობის შეცვლა
- ნაკადის მზომების დაყენება
- საქლორატოს შეცვლა
- SCADA სისტემის შეცვლა
- ნაგებობების გარემონტება
- სატრანსფორმატოროს და ელექტრო კვების წყაროს შეცვლა
- ტერიტორიაზე ძველი შენობების დემონტაჟი, აღჭურვილობის ჩათვლით

რეზერვუარი

- მილსადენისა და წყლის მრიცხველის შეცვლა შემავალ კამერაში
- ახალი აღჭურვილობის მონტაჟი შემსვლელ ჭაზე
- ახალი რეზერვუარის მშენებლობა

წყალმომარაგების ქსელი

მიწოდების არსებულ ზონაში:

- სადისტრიბუციო ქსელში დაახლოებით 14 კმ საწნეო მილების შეცვლა, და დაახლოებით 360 მომხმარებლის ხელახალი დაერთება
- დაახლოებით 3 კმ ახალი მილების მოწყობა, მათ შორის 65 სახლის დაერთების ჩათლით
- 4 წნევის რეგულატორის დამონტაჟება

დამატებით ზონებში:

- 22 კმ ახალი მილების გაყვანა, 360 სახლის დაერთების ჩათვლით
- ახალი ბუსტერული სატუმბი სადგურის მშენებლობა
- ახალი ამაღლებული რეზერვუარის მშენებლობა (35 მ3)

წყალარინების ქსელი

- დაახლოებით 2.5 კმ-იანი მთავარი კოლექტორის მშენებლობა
- ერთი მთავარი სატუმბი სადგურისა და 15 მიკრო სატუმბი სადგურის მშენებლობა
- თვითმდენი საკანალიზაციო ქსელის მოწყობა (დაახ. 40 კმ საერთო სიგრძე), 1.400 საინსპექციო ჭითა და 1.200 სახლის დაერთებით
- საწნეო მილების მოწყობა (დაახლოებით 6 კმ სიგრძის)
- ყველა ასფალტის ან ბეტონის გზის საფარის აღდგენა

სანიაღვრე წყლის ქსელი

- მილების მოწყობა, დაახლოებით 0.3 კმ (გოფრირებული HDPE მილები)
- არსებული არხების შეცვლა, დაახლოებით 0.4კმ
- ბეტონის არხების მშენებლობა, დაახლ. 6,6 კმ
- 19 ბეტონის ჭის მშენებლობა
- 6 ბეტონის გამსვლელი არხის მშენებლობა

სამუშაოები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ რეგულაციებს.

წინასწარი კვალიფიკაცია ჩატარდება წინაკვალიფიკაციის დოკუმენტში მითითებული პროცედურების მიხედვით და იქნება ხელმისაწვდომი ყველა უფლებამოსილი აპლიკანტისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია KfW-ის შესყიდვების სახელმძღვანელოში (www.kfw-entwicklungsbank.de), 2021 წლის იანვარის ვერსია.

სამუშაოების ტენდერი გამოცხადდება KfW-ს შესყიდვის სტანდარტული დოკუმენტების შესაბამისად. სამუშაო ხელშეკრულება დააკმაყოფილებს დამსაქმებლის მიერ შემუშავებულ FIDIC-ის სამშენებლო და საინჟინრო მშენებლობის სახელშეკრულებო რეგულაციებს, მრავალმხრივი განვითარების ბანკი, ჰარმონიზებული გამოცემა 2010 წლის ივნისი („FIDIC ვარდისფერი წიგნი“).

დაინტერესებულ უფლებამოსილ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და წინასწარი საკვალიფიკაციო დოკუმენტების სრული პაკეტი ინგლისურ ენაზე, გადასახადის გარეშე, მითითებულ ელ-ფოსტაზე წერილობითი განაცხადის წარდგენის შემდეგ:

info.procurement@water.gov.ge

ყველა წერილი ასევე უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე (Cc):

e.piranishvili@water.gov.ge

აპლიკაციები წინასწარი კვალიფიკაციისათვის გაგზავნილ უნდა იქნას გარკვევით მარკირებულ კონვერტებში ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს დროით 13:00 საათზე, 2023 წლის 3 მაისს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG)
ყურადღება: UWSCG-ის დირექტორის მოადგილე ბ-ნი გუგა კაკაბაძე და საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი ეთერი ფირანიშვილი.

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 5
0186 თბილისი,
საქართველოს

დაგვიანებული განაცხადები უარყოფილი იქნება.